მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების 2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. **რა შეზღუდვები არსებობს პროექტის ძირითადი პერსონალის სხვა პროექტში ჩართულობასთან დაკავშირებით?**

პასუხი: კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: "ძირითადი პერსონალის სტატუსით კონკურსში მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ ერთი პროექტის ფარგლებში. კონკურსში მონაწილეობის უფლება ძირითადი პერსონალის სტატუსით არ აქვთ პირებს, რომლებიც ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულნი არიან ერთზე მეტ მიმდინარე პროექტში, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ გამოცხადებული ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ან გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ან ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსების ფარგლებში".

2. **კონკურსის პირობების თანახმად, „პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც პროექტს განახორციელებს წამყვან ორგანიზაციაში“. გულისხმობს თუ არა ეს პირობა, რომ პროექტის ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომელი?**

პასუხი: პროექტის ხელმძღვანელი არ არის აუცილებელი რომ იყოს წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომელი.

3. **შეიძლება თუ არა, ძირითადი პერსონალის სტატუსით პროექტში ჩაერთოს სტატუსშეჩერებული დოქტორანტი? რა დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს?**

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. გაითვალისწინეთ, მეცნიერის პროფილში, განათლების ველში მან უნდა წარმოადგინოს 2022 წელს გაცემული ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ

4. **როგორ დავასაბუთო სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება (რა საბუთებია საჭირო?**

პასუხი: კონკურსის პირობების მე-4 მუხლის "თ" ქვეპუნქტის მიხედვით, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო საქმიანობის 5 წლიანი გამოცდილების დოკუმენტი, რომელიც გაცემული უნდა იყოს იმ დაწესებულების მიერ, სადაც ეწევით სამეცნიერო საქმიანობას და ტექსტში იკითხება რომ გაქვთ არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება. დოკუმენტს (ცნობას) პდფ ფაილის სახით ტვირთავთ GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს.

5. **ახალგაზრდა მეცნიერის გრანტის მფლობელი ჩაითვლება თუ არა დასრულებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელად?**

პასუხი: ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის ფლობა არ ითვლება რელევანტურად, აუცილებელია იყოთ რომელიმე დასრულებული ინსტიტუციური გრანტის პროექტის ხელმძღვანელი.

6. **შემიძლია თუ არა STEM-ის კონკურსის ფარგლებში პროექტი წარვადგინო სოციალურ/ჰუმანიტარულ/საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში?**

პასუხი: არა, STEM-ის კონკურსის ფარგლებში პროექტების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ 1-4 სამეცნიერო მიმართულებებში. სამეცნიერო მიმართულების კლასიფიკატორი იხილეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანების მე-14 მუხლი.

7. **ფონდის დირექტორის ბრძანება N 202 -ით გათვალისწინებული ცვლილების მიხედვით, ''გრანტის მიმღები ვალდებულია შეაფასოს მიღებული შედეგების პატენტუნარიანობა და თუ შესაძლებელია წარადგინოს საპატენტო განაცხადი". ეს მოთხოვნა როგორ გავითვალისწინოთ პროექტის შედგენისას?**

პასუხი: STEM-ის კონკურსის მე-11 მუხლი შეეხება კონკურსში გამარჯვებულ გრანტის მიმღებ პირებს. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ,,გრანტის მიმღები ვალდებულია, შეაფასოს პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიგნებების პატენტუნარიანობა. პატენტუნარიანობის შემთხვევაში წარადგინოს საპატენტო განაცხადი. იმ შემთხვევაში თუ არ გამოვლინდება პატენტუნარიანობა, კვლევის მასალებზე დაყრდნობით უნდა გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია".

ამ პირობის გათვალისწინებით, კონკურსზე რეგისტრაციის ეტაპზე შეგიძლიათ მონიშნოთ ერთ-ერთი (სტატია ან პატენტი), რომელიც უფრო რეალისტურად მიგაჩნიათ, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში, პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე ვალდებული ხართ შეამოწმოთ თქვენი კვლევის იდეის პატენტუნარიანობა. მონიტორინგის მიზნებისთვის, ანგარიშის წარმოდგენისას ფონდში წარმოადგენთ დოკუმენტს პატენტუნარიანობის შესახებ და ვალდებულების შესრულებად ჩაგეთვლებათ შესაბამისად საპატენტო განაცხადი ან უარყოფითი საპატენტო დასკვნის შემთხვევაში პუბლიკაცია.

8. **რა შეზღუდვები არსებობს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებასთან მიმართებით?**

პასუხი: კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს წელიწადში, დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს წელიწადში, ხოლო ზედნადები ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს.

9. **რა მოთხოვნებია გათვალისწინებული ბიუჯეტში ახალგაზრდა მეცნიერთან დაკავშირებით?**

პასუხი: ახალგაზრდა მეცნიერთან დაკავშირებით პროექტის ბიუჯეტში არ არის რამე სახის ფინანსური მოთხოვნა

10. **თუ პროექტში ჩართული გვყავს უცხოელი ძირითადი პერსონალი, რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს მან აკადემიური ხარისხის დასადასტურებლად და სად უნდა აიტვირთოს ეს დოკუმენტ(ებ)ი?**

პასუხი: კონკურსის პირობების მე-4 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, „უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტუდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით“. ასევე, ვებგვერდის ბმული უნდა მიუთითოთ ასევე უცხოელი მეცნიერის პირად პროფილში.